ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 89
10/09/2018

89-04-4-201809101504

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს ,,ქედის წყალკანალი"-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უვადო უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლევან გორგილაძე) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ორცვაში მდებარე 931.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა ((მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №21.03.32.176) და მასზე დამაგრებული სამი ერთეული (განაშენიანების ფართობი: №01/1 - 174,00 კვ.მ, №02/1 - 16.00კვ.მ და №03/1 - 12.00 კვ.მ) შენობა-ნაგებობის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს ,,ქედის წყალკანალი"-სათვის უვადო - მისი არსებობის პერიოდით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე